დანართი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ეკა ლეკაშვილი, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ხათუნა საგანელიძე, შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

მარიამ ბურმისტროვა, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი

2026

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	გრიგოლ რობაქიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	200002120
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ირინა ენუქიძის №3 (აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ); 0159, თბილისი, საქართველო
ვებ-გვერდი	https://gruni.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	22/01/2025 №51863
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	22/01/2031

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	**28**
ბაკალავრიატი	12
მაგისტრატურა	7
ერთსაფეხურიანი	3
დოქტორანტურა	6
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	-
ქართულ ენაში მომზადების	-
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	28
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	-
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	-
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	-

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა	3340	1729	60,4%
ბაკალავრიატი	2148	1279	48,2%
მაგისტრატურა	69	112	84,9%
ერთსაფეხურიანი	1046	203	78%
დოქტორანტურა	77	135	14%
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)			-
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა			-

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის 3^{48} პუნქტში

უცხოელი სტუდენტების რაოდენობა	975	107	97%
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა	1	0	75%

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	**511**
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	**162**
- პროფესორი	57
- ასოცირებული პროფესორი	71
- ასისტენტ პროფესორი	21
- ასისტენტი	13
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	-
- მეცნიერი	-
- პოსტდოქტორანტი	-
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	**133**
- აფილირებული პროფესორი	53
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	52
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	16
- აფილირებული ასისტენტი	12
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	6 (აკადემიური, აფილირებული- 5; მოწვეული-1)
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	-
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	**220**
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	**129**

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	**17 360,71**
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	8 734,95
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	8 625,76

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

მონიტორინგი განხორციელდა I, II, III, IV, V, VII სტანდარტების კონკრეტულ კომპონენტებთან მიმართებაში. მონიტორინგის განხორციელებამდე ჩატარდა ვიზიტის წინა შეხვედრა ზუმის პლატფორმით. ექსპერტებს შორის განაწილდა კონკრეტული დავალებები. დაზუსტდა დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტების სია. კერძოდ, უნივერსიტეტისგან გამოთხოვილი იქნა:

1. ახალი სივრცის ოფიციალურად გამოყენების დოკუმენტი;
2. საერთაშორისო აკრედიტაციის სააგენტოებთან მუშაობის შედეგები;
3. ტექნოლოგიების ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაცია;
4. მემორანდუმი ტექნოლოგიების ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამისთვის;
5. კურსდამთავრებულთა პლატფორმის შესახებ ინფორმაცია.

ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 18 თებერვალს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ბათუმის წარმომადგენლობაში, ხოლო 20 და 21 თებერვალს - თბილისის კამპუსებში. ვიზიტის დროს განხორციელდა ავტორიზაციის საბჭოს 2025 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით (ოქმი №47215) უნივერსიტეტისთვის 60-დღიანი ვადით განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შემოწმება შარტავას ქუჩაზე (თბილისი) ფართის დამატებასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტმა წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რომლითაც დასტურდება შარტავას 29 ნომერზე ფართის საკუთრების უფლება უნივერსიტეტის მიერ. ასევე, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება N 01-05/012 (11.02.2026), რითაც გაიცა დავალებები ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.

ინსტიტუციამ წარმოადგინა ინფორმაცია საერთაშორისო აკრედიტაციის სააგენტოებთან მუშაობის შედეგების შესახებ, ინფორმაცია ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის შესახებ, ინფორმაცია კურსდამთავრებულთა პლატფორმის შესახებ.

ვიზიტი წარიმართა კოლეგიალურ და საქმიან გარემოში. უნივერსიტეტის მხრიდან მიწოდებული იქნა ყველა საჭირო დოკუმენტი და ინფორმაცია ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხზე.

მონიშნეთ რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☒ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების **თარიღი: 18, 20, 21 თებერვალი, 2026 წელი**

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:

რეკომენდებულია ძირითადი თანამდებობის პირები მეტად იყვნენ ინფორმირებული იმის შესახებ, როგორ უკავშირდება მათი ფუნქციები უნივერსიტეტის მისიას (1.1.).	განხორციელებული აქტივობების საფუძველზე ძირითადი თანამდებობის პირები ინფორმირებულნი არიან როგორ უკავშირდება მათი ფუნქციები უნივერსიტეტის მისიას, თუმცა ბათუმის წარმომადგენლობაში უნდა გააქტიურდეს მუშაობა ერთგვაროვანი შედეგის მისაღწევად. **რეკომენდაცია შესრულდა.**
რეკომენდებულია, რომ სტრატეგიული პროგრესის მონიტორინგის შედეგებს გარკვეული ქმედებები მოჰყვეს (1.2).	უნივერსიტეტში სტრატეგიული პროგრესის მონიტორინგის შედეგებს მოჰყვა მიზნობრივი ქმედებები და ამ მექანიზმის ქმედითუნარიანობა დასტურდება კონკრეტული შედეგებით. **რეკომენდაცია შესრულდა.**
უნდა გაძლიერდეს სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის სრული ჩართულობა და ინფორმირებულობა (1.2).	სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის სრული ჩართულობა და ინფორმირებულობა უზრუნველყოფილია სტრატეგიის შემუშავების პროცესში ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან ერთად სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობის, ,,სტრატეგიული დიალოგის სივრცის“, სტრატეგიის შესახებ ვიდეო-რგოლის და ა.შ. გზებით. **რეკომენდაცია შესრულდა.**
რეკომენდებულია გაუმჯობესდეს კომუნიკაცია და გამჭვირვალობა აკადემიურ კომიტეტში სტუდენტური წარმომადგენლობის დანიშვნის პროცედურებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს, რომ ყველა სტუდენტი ადეკვატურად ინფორმირებულია მათი უფლებამოსილებისა და მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ (2.1).	აკადემიურ კომიტეტში სტუდენტური წარმომადგენლების დანიშვნის პროცედურებთან დაკავშირებით გაუმჯობესებულია კომუნიკაცია და სტუდენტების ინფორმირების ხარისხი. **რეკომენდაცია შესრულდა.**
რეკომენდებულია სტუდენტური თვითმმართველობის სრული ავტონომიის უზრუნველყოფა (2.1).	სტუდენტური თვითმმართველობა სრულად ინარჩუნებს ავტონომიას. **რეკომენდაცია შესრულდა.**
სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმარებისას რეკომენდებულია სრულყოფილი მონაცემების დამუშავება და ეფექტური გამოყენება (2.2.).	უნივერსიტეტმა სრულყო სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელსაც დაემატა სტუდენტთა ნაკადების დინამიკის ანალიზზე დაფუძნებული მათემატიკური მოდელი. შემუშავდა და ამოქმედდა „კონტინგენტის პროგნოზირების მატრიცა“, რომელიც ეყრდნობა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ბოლო სამი წლის სტატისტიკურ მაჩვენებლებს.კონტინგენტის დაგეგმვის პროცესი ჩამოყალიბდა მრავალსუბიექტიან და კოორდინირებულ მექანიზმად. **რეკომენდაცია შესრულდა.**
რეკომენდებულია უნივერსიტეტის მიერ დამუშავებული სტუდენტებთან დაკავშირებული ყველა სტატისტიკური მონაცემის ანალიზი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორიცაა სტუდენტის სქესი, პროგრამა და სწავლების ლოკაცია (3.1).	საბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა „საუნივერსიტეტო საქმიანობის კვლევების სტანდარტში“ ასახა სტუდენტური კონტინგენტის სტატისტიკური მონაცემების სისტემური შეგროვებისა და ანალიზის ვალდებულება.აღნიშნული პროცესი მოიცავს მონაცემთა დამუშავებას სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით, მათ შორის გენდერული ნიშნით,

	საგანმანათლებლო პროგრამების ჭრილში და სწავლების ლოკაციის მიხედვით, რაც უზრუნველყოფს მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. **რეკომენდაცია შესრულდა.**
რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამების შედეგებისა და სამომავლო გეგმების გაცნობა გარე დაინტერესებული მხარეებისთვის, როგორიცაა მარეგულირებელი ორგანოები, ჯანდაცვის დაწესებულებები, სამეცნიერო საზოგადოებები, კვლევითი ინსტიტუტები, კურსდამთავრებულები, ფარმაცევტული და სხვა ინდუსტრიული კომპანიები (3.1).	უნივერსიტეტში ინსტიტუციონალიზებულია „კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომიტეტი“, რომელიც ფუნქციონირებს აკადემიურ სკოლებთან. კომიტეტის დებულება განსაზღვრავს დარგობრივი წარმომადგენლების მონაწილეობას პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და გაუმჯობესების ყველა ეტაპზე. უნივერსიტეტის მიერ პროგრამების სწავლის შედეგებისა და სამომავლო გეგმების გაზიარება ხორციელდება სამუშაო შეხვედრების, დარგობრივი ფორუმებისა და საერთაშორისო პლატფორმების მეშვეობით. წარმოდგენილი მაგალითები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კომუნიკაციის მრავალდონიან და ინსტიტუციონალიზებულ მოდელს. **რეკომენდაცია შესრულდა.**
რეკომენდებულია მედიცინის პროგრამისა და კურსების სწავლის შედეგების რევიზია იმგვარად, რომ ისინი ასახავდეს სწავლის შედეგების მიზნობრივ ხასიათს და წარმოადგენდეს შეფასებად ერთეულებს (3.2).	მედიცინის სკოლამ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინაციით, განახორციელა მედიცინის პროგრამის სწავლის შედეგების კომპლექსური რევიზია ავტორიზაციის რეკომენდაციის შესაბამისად. ანალიზის შედეგად იდენტიფიცირდა რამდენიმე სილაბუსი, რომელთა სწავლის შედეგები საჭიროებდა დაზუსტებას. შესაბამისი კორექტირება განხორციელდა ბლუმის ტაქსონომიის პრინციპებზე დაყრდნობით, რის შედეგადაც ფორმულირებები გახდა უფრო მკაფიო, ოპერაციონალიზებული, გაზომვადი და შეფასებადი. **რეკომენდაცია შესრულდა.**
რეკომენდებულია სტუდენტების ეფექტური ინფორმირება სწავლის შედეგების შესახებ (3.2).	რეკომენდაციის შესრულების ფარგლებში გაძლიერდა როგორც საინფორმაციო, ისე საკონსულტაციო და უკუკავშირის მექანიზმები, რათა სწავლის შედეგები არ დარჩეს მხოლოდ დოკუმენტურ ჩანაწერად, არამედ იქცეს სტუდენტისათვის პრაქტიკულად გასაგებ და მიღწევად მიზნად. **რეკომენდაცია შესრულდა.**
რეკომენდებულია ცხოველებზე კვლევების წარმოება კონკრეტული რეგულაციებისა და "სამი R- ის პრინციპის" (Replacement, Reduction, Refinement) დაცვით კვლევისა და ტესტირების პროცესში (დირექტივა 2010/63/EU ადგენს ზომებს სამეცნიერო ან საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენებული ცხოველების დასაცავად); გრუნი-ს რეგულაციები და ეთიკის კოდექსი უნდა შეესაბამებოდეს ამ პრინციპებს (3.2).	უნივერსიტეტმა განახორციელა შიდა ნორმატიული ბაზის საფუძვლიანი რევიზია და უზრუნველყო მისი სრული შესაბამისობა ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2010/63/EU დირექტივასთან, რომელიც არეგულირებს სამეცნიერო მიზნებისთვის გამოყენებული ცხოველების დაცვის, კეთილდღეობისა და ეთიკური გამოყენების სტანდარტებს. აღნიშნული ნაბიჯი ემსახურება უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევითი საქმიანობის ჰარმონიზაციას ევროპულ სამართლებრივ და ეთიკურ ჩარჩოსთან.

	რეკომენდაცია შესრულდა.
რეკომენდებულია ნორმაზე დაფუძნებული შეფასების სისტემის გაუქმება და მხოლოდ კრიტერიუმზე დაფუძნებული შეფასების იმპლემენტაცია, რათა ინდივიდუალური სტუდენტის ქულები მხოლოდ მის მოსწრებაზე იყოს დამოკიდებული (3.3).	ექპერტთა ჯგუფი იზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას, რომ რეკომენდაცია „ნორმაზე დაფუძნებული შეფასების გაუქმების შესახებ“ უნდა შეფასდეს როგორც არსობრივ-ტერმინოლოგიური გაუგებრობა, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყო ფორმულირების ინტერპრეტაციის თავისებურებით. უნივერსიტეტში სტუდენტთა კომპეტენციების შეფასება ხორციელდება მხოლოდ კრიტერიუმებზე დაფუძნებული მოდელით, რაც უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. **რეკომენდაცია შესრულდა.**
რეკომენდებულია საუნივერსიტეტო დონეზე სწავლისა და სწავლების სავალდებულო სასწავლო კურსის შემუშავება და დანერგვა ყველა ახალი პედაგოგიური პერსონალისთვის (4.1).	შემოღებულია სავალდებულო სპეციალიზებული სასწავლო კურსის - „სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია“, რომელიც ახალი პედაგოგიური პერსონალისთვის შრომითი ხელშეკრულების გაგრძელების ერთ-ერთი სავალდებულო წინაპირობა გახდა. **რეკომენდაცია შესრულდა.**
რეკომენდებულია გადაიხედოს აფილირებული პერსონალის სახელფასო პოლიტიკა (4.1).	შემუშავდა სახელფასო მატრიცა, რომელიც ეფუძნება საბაზისო სახელფასო განაკვეთს და იცვლება მატრიცის მონაცემების შესაბამისად. სახელფასო მატრიცა აგებულია აკადემიური პოზიციების, საბაზისო ხელფასის, 3-6-9 წლიანი სტაჟის, სასწავლო-ორგანიზაციული აქტივობის, სწავლების ხარისხის დანამატის (სტუდენტთა გამოკითხვით 4,6-5 ქულა), სამეცნიერო აქტივობის დანამატით (WoS/Scopus, EBSCO/Erich, მონოგრაფია, საგრანტო პროექტი). **რეკომენდაცია შესრულდა.**
რეკომენდებულია ადაპტაციის პერიოდის ჩანაცვლება საცდელი (ან მსგავსი) პერიოდით და მკაფიო და გამჭვირვალე კრიტერიუმების განსაზღვრა საბოლოო დასაქმებისთვის (4.1).	უნივერსიტეტში მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამოსაცდელი ვადის მექანიზმი, რომელიც უნივერსიტეტის მხრიდან ხელშეწყობილია და გაძლიერებულია ადაპტციის პროგრამით. **რეკომენდაცია შესრულდა.**
რეკომენდებულია მონიტორინგის სისტემის დანერგვა, რომელიც გამოავლენს ინდივიდუალურ და სისტემურ საკითხებს, აცნობებს მათ შესახებ სტუდენტთა ომბუდსმენის ოფისს და გამოიყენებს რეგულარულ აუდიტს სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანოებთან (5.1).	ომბუდსმენის სამსახურის ანგარიში ხელმისაწვდომია ყველასათვის. ანგარიში დაუყოვნებლივ ეგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. **რეკომენდაცია შესრულდა.**
რეკომენდებულია საერთაშორისო სტუდენტების მონაწილეობის გაძლიერება სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებში, კერძოდ სტუდენტურ თვითმმართველობაში (5.1).	გაძლიერებულია საერთაშორისო სტუდენტების გაძლიერების საკითხი, აღნიშნულს ცხადჰყოფს ინტერვიუები და შემდეგი დოკუმენტაცია: დებულება სტუდენტური ომბუდსმენის შესახებ, სტუდენტური თვითმმართველობის პოლიტიკა, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების წესი (სტუდენტური თვითმმართველობის დებულების დანართი N1), სტუდენტების გზამკვლევი „შენი უფლებები და წარმომადგენლობა“.

	რეკომენდაცია შესრულდა.
რეკომენდებულია ბათუმში მდებარე შენობაში ყველა საკლასო ოთახის აღჭურვა თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიებით (7.1).	ბათუმში ყველა აუდიტორია აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით.
რეკომენდებულია ყველა სასწავლო და სოციალური სივრცის სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ინდივიდისთვის, მიუხედავად მათი ფიზიკური შესაძლებლობებისა (7.1).	ყველა სასწავლო და სოციალური სივრცე ხელმისაწვდომია თითოეული ინდივიდისთვის.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების, ასევე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების შეფასების ფარგლებში დადგინდა, რომ უნივერსიტეტმა **შეასრულა უსდ-ების ავტორიზაციის საბჭოს N 5 25 0000051863 (22/01/2025) გადაწყვეტილებით განსაზღვრული ყველა რეკომენდაცია.**

რეკომენდაციები

არ არის.

რჩევები

- სასურველია, უნივერსიტეტმა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების მისიასთან ბმის საკითხზე გააქტიუროს მუშაობა ბათუმის წარმომადგენლობის თანამშრომლებთან (1.1).

საუკეთესო პრაქტიკა

1. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ახალი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მიღების საწყის ეტაპზე ადაპტაციის პროგრამა, რომელიც ამზადებს მომავალ თანამშრომელს საუნივერსიტეტო გარემოში ეფექტიანი ინტეგრაციისა და საქმიანობისთვის, ეხმარება ახალ თანამშრომელს შიდა მარეგულირებელი აქტების, პერსონალის, კორპორაციული ტრადიციებისა და კულტურის გაცნობაში (4.1).

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება		☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა		☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐

2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☐	☐	☐
3. საგანმანათლებლო პროგრამები		☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4. უსდ-ის პერსონალი		☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☐	☐
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები		☐	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐	☐	☐	☐
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა		☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☐
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები		☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ეკა ლეკაშვილი (თავმჯდომარე)

2. ხათუნა საგანელიძე (წევრი)

3. მარიამ ბურმისტროვა (წევრი)



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: • **რეკომენდებულია ძირითადი თანამდებობის პირები მეტად იყვნენ ინფორმირებული იმის შესახებ, როგორ უკავშირდება მათი ფუნქციები უნივერსიტეტის მისიას.** აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უნივერსიტეტმა ჩაატარა ორდღიანი საინფორმაციო სემინარი თემაზე: „სამსახურის საქმიანობის მიმართება უნივერსიტეტის მისიასთან“ უნივერსიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების, ბათუმის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის და სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული პირებისთვის. სემინარი წარმართა უნივერსიტეტის რექტორმა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების განხორციელებაზე უნივერსიტეტის მისიასთან ბმაში, რამაც უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტის მიზნების მიღწევა. სემინარის პირველ დღეს მონაწილეებს წარედინათ უნივერსიტეტის მისია, ხედვა, ღირებულებები და მიზნები. მეორე სემინარი ჩატარდა ორკვირიანი შუალედით, რა დროსაც მონაწილეებს უნდა დაემუშავებინათ სამსახურის ფუნქციების შესაბამისობის საკითხი უნივერსიტეტის მისიასთან და წარმოედგინათ პრეზენტაცია. ექსპერტთა ჯგუფმა მარტივი შემთხვევითი შერჩევის გზით დააზუსტებინა ადამიანური რესურსების მართვის და სტრატეგიული განვითარების ცენტრების ხელმძღვანელებს მათი სამსახურის ფუნქციის უნივერსიტეტის მისიასთან ბმის საკითხი. აღინიშნა, რომ რიგ შემთხვევებში, პრეზენტაციების მსვლელობისას განხორციელდა სამსახურების ფუნქციების კორექტირება მისიასთან მიმართებაში. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი გააგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას. თუმცა, ბათუმის წარმომადგენლობის თანამშრომლებთან შეხვედრისას არ იყო დამაჯერებლად მოწოდებული ინფორმაცია ჩატარებულ სემინართან დაკავშირებით. სემინარის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. რექტორის ინფორმაციით. მსგავსი სემინარები ჩატარდება ყოველწლიურად ახალი თანამშრომლებისთვის. ამასთან, ყოველი აკადემიური წლის დასასრულს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები განახორციელებენ მათი საქმიანობის შესახებ ანგარიშს პრეზენტაციის სახით მისიასთან მიმართებაში აკადემიური კომიტეტის გაფართოებულ სხდომებზე. აღნიშნული აქტივობების და გეგმების შესახებ ისაუბრეს ინტერვიუს პროცესში ვიზიტის დროს რექტორმა, პრორექტორებმა, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებმა. ამასთან, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არის სტრატეგიული დიალოგის ფანჯარა, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გააცნოს თვალსაზრისი სტრატეგიულ ამოცანებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა ამ შესაძლებლობით სარგებლობის შემთხვევებზე. ადმინისტრაციაში ამ გზით შევიდა წინადადებები მისიასთან მიმართებაში. **რეკომენდაცია შესრულდა.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • https://gruni.edu.ge/main/news/1766818477 • ანგარიში რეკომენდაციების შესრულების შესახებ • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: არ არის.

რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტმა სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების მისიასთან ბმის საკითხზე გააქტიუროს მუშაობა ბათუმის წარმომადგენლობის თანამშრომლებთან.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი).
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- **რეკომენდებულია, რომ სტრატეგიული პროგრესის მონიტორინგის შედეგებს გარკვეული ქმედებები მოჰყვეს**

უნივერსიტეტში სტრატეგიული დაგეგმარებისა და მონიტორინგის პროცესების რეგულირება ხორციელდება ,,სტრატეგიული დაგეგმარების ინსტრუქციისა“ და ,,სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების წესის“ დოკუმენტებზე დაყრდნობით. ,,სტრატეგიული დაგეგმარების ინსტრუქციით“ განისაზღვრება სტრატეგიის დაგეგმარების ზოგადი წესი - მეთოდოლოგია, პრინციპები, პროცედურა. ამასთან, დოკუმენტი განსაზღვრავს ამ პროცესის პრაქტიკულად განხორციელების მექანიზმს. ,,სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების წესი“ აღწერს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებსა და პროცედურას. დოკუმენტის განმარტებით, მონიტორინგის პროცესი გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიდევნების პროცესია, ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის გზით. მონიტორინგის ჯგუფი იქმნება რექტორის ბრძანებით, არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით, რომელშიც დამხმარე და აკადემიური პერსონალის გარდა არიან სტუდენტებიც. საჭიროების შემთხვევაში, ერთჯერადად - კურსდამთავრებულებიც. კომისიის გადაწყვეტილებები ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს, ხოლო წლიური და შვიდწლიანი შედეგების შეფასება ითვლება საბოლოოდ. მონიტორინგის და შეფასების შედეგები განიხილება მონიტორინგის ჯგუფის სხდომაზე, ხოლო სხდომის გადაწყვეტილება სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შეფასების შესახებ, გადაეცემა აკადემიურ კომიტეტს და რექტორს. მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციებს აკადემიური კომიტეტი იღებს ცნობად, ღებულობს გადაწყვეტილებას სტრატეგიული გეგმის კორექტირების შესახებ და ახალი წლის სამოქმედო გეგმაში ითვალისწინებს იმავე, ან განსხვავებულ აქტივობას. იმ შემთხვევაში თუ გეგმის შეფერხების/ჩავარდნის საქმეში გამოიკვეთება კონკრეტული პირის ბრალეულობა, ადმინისტრაცია უფლებამოსილია გაატაროს შესაბამისი ზომები.

ინსტიტუციამ მონიტორინგის შედეგების აკადემიური კომიტეტის სხდომაზე განხილვის პრაქტიკის მტკიცებულებად წარმოადგინა აკადემიური კომიტეტის სხდომის ოქმი N2 (26.07.04), სადაც განხილულია სტრატგიული განვითარების 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების შესახებ საკითხი. აღნიშნულ სხდომაზე გამოტანილი იქნა დადგენილებები: საერთაშორისო აკრედიტაციის სააგენტოებთან მუშაობის გააქტიურების, ტექნოლოგიების ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, ტექნოლოგიების ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამისთვის მემორანდუმის გაფორმების და კურსდამთავრებულთა პლატფორმის შექმნის შესახებ 2026 წლის გაზაფხულისთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა ინფორმაცია აღნიშნული გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

ინსტიტუციის ინფორმაციით, საგანმანათლებლო პროგრამების შედეგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისა და მათი გარე ვალიდაციის მიზნით, უნივერსიტეტმა განახორციელა სტრატეგიული

მნიშვნელობის პროექტი - QS Stars-ის საერთაშორისო აკრედიტაცია. აღნიშნული პროცესი წარმოადგენს გარე დაინტერესებული მხარეებისთვის გრუნის პროგრამების შედეგებისა და სამომავლო გეგმების გაცნობის უმაღლეს ფორმას. საერთაშორისო ექსპერტთა მიერ სწავლებისა და დასაქმების მიმართულებებში მინიჭებული 4 ვარსკვლავი არის იმის დასტური, რომ უნივერსიტეტის მიერ გაცხადებული სწავლის შედეგები სრულად მიღწევადია და აღიარებულია გლობალურ დონეზე. QS Stars-ის აუდიტის დასკვნები უნივერსიტეტისთვის წარმოადგენს გზამკვლევს სამომავლო გეგმების დასახვის მიზნით, რაც უზრუნველყოფს ინსტიტუციურ მდგრადობასა და ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას. აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო მარეგულირებელ ორგანოებთან საგანმანათლებლო პროგრამების შედეგების ვალიდაციისა და სამომავლო ინტერნაციონალიზაციის მიზნით. ამის დასტურია 2025 წელს იორდანიის ჰაშიმიტური სამეფოს უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევების სამინისტროს მიერ გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის აღიარება აკრედიტებულ სამედიცინო უმაღლეს სასწავლებლად (https://rce.mohe.gov.jo/en/RecognizedUniversities), აღიარების პროცესში უცხოურ მარეგულირებელ ორგანოს წარედგინა ინფორმაცია უნივერსიტეტის სამედიცინო პროგრამების ხარისხის, კლინიკური სწავლების მეთოდოლოგიისა და სტუდენტთა შედეგების შესახებ.

ასევე, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრულია ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება და საერთაშორისო ტექნოლოგიური საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია. აღნიშნული მიდგომა ემსახურება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას, საერთაშორისო აკადემიური თანამშრომლობის გაძლიერებასა და სტუდენტთა კონკურენტუნარიანობის ზრდას. სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში, 2024 წლის ნოემბერში უნივერსიტეტის წარმომადგენლები - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი და უნივერსიტეტის IT მიმართულების ხელმძღვანელი - ოფიციალური მივლინებით იმყოფებოდნენ საფრანგეთში, ქალაქ ლიონში, უნივერსიტეტი ლიონ 1-ში. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მხარეთა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხილვა და შედარებითი ანალიზი, მათ შორის სასწავლო გეგმების სტრუქტურის, სწავლის შედეგების, სწავლების მეთოდოლოგიისა და აკადემიური რესურსების მიმართულებით. შეხვედრების შედეგად მიღწეულ იქნა პრინციპული შეთანხმება ერთობლივი/ორმაგი ხარისხის ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შექმნაზე. პროგრამის კონცეფციის მიხედვით, სწავლების ძირითად ციკლს სტუდენტები გაივლიან გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში, ხოლო დასკვნით სასწავლო წელს - უნივერსიტეტ ლიონ 1-ში. აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს საერთაშორისო აკადემიური გამოცდილების მიღებას და ორ აკადემიურ გარემოში სწავლების ინტეგრაციას. ამ ეტაპზე, პროგრამის ძირითადი აკადემიური და ადმინისტრაციული ნაწილი დასრულებულია. პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის საბოლოო შეთანხმების გაფორმება დაგეგმილია 2026 წლის მარტში, რის შემდეგაც პროგრამა გაივლის შესაბამის აკრედიტაციის პროცედურებს. გარდა ზემოაღნიშნულისა, პროგრამის ხელმძღვანელი იქნება ოსლოს უნივერსიტეტის პროფესორი პიტერ სზაბა ოლივესკი. ამასთან, პროგრამის განხორციელებაში, ქართველ პროფესორეთან ერთად, მონაწილეობას მიიღებენ გერმანელი და ავსტრიელი პროფესორები. პროგრამის ინტერნაციონალიზაციისა და პრაქტიკული კომპონენტების გაძლიერების მიზნით გაფორმდა მემორანდუმი თურქულ IT კომპანიასთან - „SDATAM BİLİŞİM TEKNOLOJİLERİ ve GÜVENLİĞİ LTD.ŞTİ“, რომლის ფარგლებში მხარეები: განავითარებენ ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკლავრო პროგრამის კურიკულუმს; ჩატარდება საჯარო ლექციები, ვორქშოფები, ექსპერტული კონსულტაციები; ითანამშრომლობენ სამეცნიერო და აკადემიური მიმართულებით.

რაც შეეხება კურსდამთავრებულთა პლატფორმის შექმნას, აკადემიური კომიტეტის სხდომაზე კურსდამთავრებულთა პლატფორმის შექმნის საკითხის განხილვის შემდეგ, მიმდინარეობს შემდეგი პროცესი: კურსდამთავრებულთა პლატფორმის შექმნა რჩება უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ პრიორიტეტულ მიმართულებად. მიუხედავად იმისა, რომ ადრე გამოცხადებული კონკურსები ვერ დასრულდა შესაბამისი კანდიდატის შერჩევით, სამუშაო პროცესი არ შეჩერებულა და გადაყვანილია ალტერნატიულ ფორმატში. უნივერსიტეტის IT სპეციალისტებთან INN-ჯგუფთან თანამშრომლობით, ამ ეტაპზე, შემუშავდა ტექნიკური დავალების ძირითადი ჩარჩო, თუმცა მიმდინარეობს მისი ტექნიკური დაზუსტება, მათ შორის — არქიტექტურული გადაწყვეტების, უსაფრთხოების პროტოკოლებისა და ინტეგრაციის კონკრეტული ტექნიკური პარამეტრების განსაზღვრა. შესაბამისად, საკითხი იმყოფება აქტიურ სამუშაო ეტაპზე. პროცესის დასრულების შემდეგ დაგეგმილია საბოლოო ტექნიკური დავალების დამტკიცება და პლატფორმის შექმნის პრაქტიკული ეტაპის დაწყება.

წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ნათელია, რომ უნივერსიტეტში სტრატეგიული პროგრესის მონიტორინგის შედეგებს მოჰყვება მიზნობრივი ქმედებები და ეს მექანიზმი ქმედითუნარიანია. მიმდინარე წლის სტრატეგიული პროგრესის შედეგების სახით აღინიშნა ლიდერობის საერთაშორისო პროგრამის განხორციელების შესახებ სინგაპურის და აზერბაიჯანის განათლების ცენტრებთან

თანამშრომლობის გზით; შემუშავდა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა სტომატოლოგიაში. კოტლერის სახელმძღვანელოსთვის შემუშავდა ქართული ქეისები, ქართულად ითარგმნა და გამოიცა სახელმძღვანელო ,, კორპორაციული ფინანსების საფუძვლები" და ა.შ.

რეკომენდაცია შესრულდა.

- **უნდა გაძლიერდეს სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის სრული ჩართულობა და ინფორმირებულობა**

,,სტრატეგიული დაგეგმარების ინსტრუქციის" მიხედვით, შესაძლებელია ,,უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებული სუბიექტი (აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი, სტუდენტები), საზოგადოებრიობის წარმომადგენლების ჩათვლით (კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები), გახდეს უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის მონაწილე, შესაბამისად მოხდეს მათი კონსოლიდაცია და კოორდინაცია". სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში წარმოდგენილი მხარეების ჩართულობას ადასტურებს სტრატეგიული განვითარებისა (2024ƷƷ2030) და სამოქმედო გეგმის მოსამზადებელი კომისიის სხდომის ოქმები (N1 და N2). აღნიშნული დადასტურდა ვიზიტის დროს ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში. ამასთან, რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უნივერსიტეტმა დამატებითი აქტივობს სახით შექმნა ე.წ. ,,სტრატეგიული ვირტუალური სივრცე" უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს უნივერსიტეტის სტრატეგიას, სამოქმედო გეგმას და მათი შესრულების მიმდინარეობას, გამოთქვას საკუთარი თვალსაზრისი შესაბამისი ცვლილებების შეტანის თაობაზე.

პარალელურად, მომზადდა სტრატეგიული გეგმის მოკლე, ვიზუალიზებული ვერსია. სადაც წარმოდგენილია უნივერსიტეტის ძირითადი პრიორიტეტები, მიზნები, ამოცანები. აღნიშნული დოკუმენტი განთავსებულია, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რაც ხელს უწყობს მათ სრულ ჩართულობას სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში და ინფორმირებულობის მაღალ დონეს ამ საკითხზე. აღნიშნული აქტივობები გადამოწმდა ვებ-გვერდზე და აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში.

რეკომენდაცია შესრულდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სტრატეგიული დაგეგმარების ინსტრუქცია (დანართი 1.1)
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების წესი (დანართი 1.2)
- აკადემიური კომიტეტის ოქმები (დანართი 1.3)
- სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში/განხილვაში დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის დამადასტურებელი ოქმები (დანართი 1.4)
- https://gruni.edu.ge/menu_content/index/583
- სტრატეგიული გეგმა (დანართი 1.5)
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

არ არის.

რჩევები:

არ არის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას,

ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: • **რეკომენდებულია გაუმჯობესდეს კომუნიკაცია და გამჭვირვალობა აკადემიურ კომიტეტში სტუდენტური წარმომადგენლობის დანიშვნის პროცედურებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს, რომ ყველა სტუდენტი ადეკვატურად ინფორმირებულია მათი უფლებამოსილებისა და მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ.** უნივერსიტეტის მიერ, აკადემიურ კომიტეტში სტუდენტური წარმომადგენლობის დანიშვნის პროცედურებთან დაკავშირებით, სტუდენტთა ინფორმირების მიზნით, შემუშავდა მცირე მეგზური, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის. აღნიშნული მცირე მეგზური განთავსებულია აკადემიური პროცესის მართვის ელექტრონული პორტალის „ნექსუსი“ სტუდენტის ინდივიდუალური პროფილის გვერდზე და აგრეთვე ბეჭდური სახით გამოფენილია უნივერსიტეტის სხვადასხვა სივრცეში. გარდა აღნიშნულისა, უნივერსიტეტის ანგარიშში ხაზგასმულია, რომ „დეკანის საათის“ ფარგლებში, სხვა საჭირო ინფორმაციასთან ერთად, სტუდენტები ეცნობიან კომიტეტში სტუდენტთა არჩევის წესს. აღნიშნული ასევე დადასტურდა უშუალოდ უნივერსიტეტში ვიზიტის დროს, როგორც დეკანებთან შეხვედრისას ექსპერტთა ჯგუფს ეცნობა ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი აღნიშნულ შეხვედრებს ატარებს ყოველკვირეულად, სკოლების ნაწილი აღნიშნულ შეხვედრებს ატარებს თვეში ერთხელ, თუმცა ერთხმად აღნიშნეს, რომ როდესაც უნივერსიტეტში საჭიროება დგება, არავინ ელოდება კონკრეტულ თარიღს და ყოველთვის აქტიური შეხვედრები აქვთ დეკანებსა და სტუდენტებს. გარდა დეკანის საათისა, უნივერსიტეტში აგრეთვე არსებობს რექტორის საათი. შეხვედრის დროს აღინიშნა, რომ დამატებით სხვა ერთეულებთან ერთად არსებობს პროფესორთა და სტუდენტთა კომიტეტებიც. ვიზიტის ფარგლებში, სტუდენტებთან დაისვა კითხვა, თუ ჰქონდათ ინფორმაცია აკადემიური კომიტეტის არსებობის შესახებ, რამდენად იცნობდნენ ამ კომიტეტის საქმიანობას, იცოდნენ თუ არა შერჩევის ეტაპების შესახებ და კომიტეტის წევრი სტუდენტების უფლებების შესახებ, რაზეც სტუდენტების მხრიდან ექსპერტთა ჯგუფმა დადებითი პასუხი მიიღო. **რეკომენდაცია შესრულებულია.** • **რეკომენდებულია სტუდენტური თვითმმართველობის სრული ავტონომიის უზრუნველყოფა.** უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში და, ასევე, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია, რომ საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2025 წლის 19 დეკემბერს, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის თბილისის კამპუსში, ხოლო 22 დეკემბერს ბათუმის წარმომადგენლობაში, ჩაატარა სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები. აღნიშნული გარემოება საყურადღებოა იმ კუთხით, რომ აქტივობაში უნივერსიტეტის ადმინისტრაცია არ ყოფილა ჩარეული. ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფისთვის, ანგარიშის თანდართულ დოკუმენტად მოწოდებულია სწავლა-სწავლების პროცესის შეფასებისა და სტუდენტთა კმაყოფილების შესახებ კითხვარის შაბლონი, სადაც დამატებულია საკითხები სტუდენტური თვითმმართველობის დამოუკიდებლობისა და მის მიერ ჩატარებული აქტივობების ხარისხის შეფასების შესახებ. სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვას ატარებს ხარისხის სამსახური და შემდგომ შედეგები ეგზავნება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის ცენტრს.

ასევე, წარმოდგენილია უნივერსიტეტის ადმინისტრაციასა და სტუდენტურ თვითმმართველობას შორის გაფორმებული მემორანდუმი, რომლის მიხედვითაც რეგულირდება მხარეთა ვალდებულები და ურთიერთთანამშრომლობის საკითხები.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, თუ როგორ არის უზრუნველყოფილი თვითმმართველობის ავტონომია, რაზეც სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტების აზრი და სურვილებია გათვალისწინებული და უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, გარდა დაფინანსების საკითხებისა, არანაირი გადაკვეთა არ აქვთ. ასევე, ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა გამოკითხვის არსებობით, თუ როგორ ხდება სტუდენტების კმაყოფილების დონის შეფასება უშუალოდ სტუდენტური თვითმმართველობის მიერ. მოწოდებული ინფორმაციით, ღონისძიების დაგეგმვის ეტაპზევე ახორციელებენ სტუდენტთა გამოკითხვას, რათა გაიგონ თუ რა სურთ სტუდენტებს. მაგალითისთვის, თვითმმართველობამ ჩაატარა პროექტები „მელომანი“, ,,ფილმის სეანსი“, რასაც დიდი გამოხმაურება მოყვა და ეს უკუკავშირი არსებობს მხოლოდ ზეპირი ფორმით, მომავალში კი აპირებენ ანონიმური გამოკითხვის გაკეთებას, წერილობითი ფორმით.

რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე
- ინტერვიუები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://gruni.edu.ge/
- მცირე მეგზური (აკადემიური კომიტეტის დებულება)
- ელექტრონულ პორტალის „ნექსუსი“ სტუდენტის ინდივიდუალური პროფილის გვერდი (ფოტო-მასალა)
- https://gruni.edu.ge/main/news/1767676548
- უნივერსიტეტსა და სტუდენტურ თვითმმართველობას შორის გაფორმებული მემორანდუმი
- სტუდენტთა კმაყოფილების კითხვარი

რეკომენდაციები:

არ არის.

რჩევები:

არ არის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- **„სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმარებისას რეკომენდებულია სრულყოფილი მონაცემების დამუშავება და ეფექტური გამოყენება“**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა სრულყო სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციის გათვალისწინებით, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა გააუმჯობესა და სისტემურად განავითარა სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მიდგომა.
რეკომენდაციის შესრულების მიზნით განხორციელდა შემდეგი ნაბიჯები:
„სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას“ დაემატა სტუდენტთა ნაკადების დინამიკის ანალიზზე დაფუძნებული მათემატიკური მოდელი. აღნიშნული მოდელი უზრუნველყოფს კონტინგენტის დაგეგმვას არა მხოლოდ არსებული ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, არამედ ჩარიცხვების, მობილობის, სტატუსის ცვლილებებისა და კურსდამთავრებულთა პროგნოზირების მონაცემების სისტემური ანალიზის საფუძველზე.
შემუშავდა და ამოქმედდა „კონტინგენტის პროგნოზირების მატრიცა“, რომელიც ეყრდნობა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ბოლო სამი წლის სტატისტიკურ მაჩვენებლებს. აღნიშნული ინსტრუმენტი გამოიყენება მომავალი წლის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისას და უზრუნველყოფს კვოტების დაგეგმვის ობიექტურობასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებულობას.
დაინერგა კონტინგენტის მონიტორინგის სემესტრული ციკლი, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის ხელმძღვანელებისა და დეკანატების აქტიურ ჩართულობას. დაგეგმილ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის არსებული გადახრები განიხილება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და აისახება სემესტრულ ანგარიშებში. აღნიშნული მექანიზმი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალისა და ინფრასტრუქტურის ეფექტიან განაწილებას და უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს მდგრად განვითარებას.
კონტინგენტის დაგეგმვის პროცესი ჩამოყალიბდა მრავალსუბიექტიან და კოორდინირებულ მექანიზმად. მასში მონაწილეობენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური სკოლები, პროგრამის ხელმძღვანელები, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის ცენტრი, სტრატეგიული განვითარების ცენტრი და მარკეტინგული კვლევების ცენტრი. კვოტების განსაზღვრისას გათვალისწინებულია როგორც პროგრამის სპეციფიკური რესურსული შესაძლებლობები (მათ შორის, კლინიკური ბაზები), ისე შრომისა და საგანმანათლებლო ბაზრის კვლევის შედეგები.
აღნიშნული ცვლილებების შედეგად შეიძლება შეფასდეს, რომ უნივერსიტეტმა ექსპერტთა რეკომენდაცია სრულყოფილად შეასრულა. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ტრანსფორმირდა ერთჯერადი ადმინისტრაციული გადაწყვეტილებიდან უწყვეტ, მონაცემებზე დაფუძნებულ მენეჯმენტურ პროცესად, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფასა და უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების მიზნებთან.
რეკომენდაცია შესრულდა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე
- ინტერვიუს შედეგები
- სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია

რეკომენდაციები:

არ არის.

რჩევები:

არ არის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.

○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს როგორ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის მიერ ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები; ანალიზში ასევე უნდა აისახოს რჩება თუ არა პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: • **რეკომენდებულია უნივერსიტეტის მიერ დამუშავებული სტუდენტებთან დაკავშირებული ყველა სტატისტიკური მონაცემის ანალიზი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორიცაა სტუდენტის სქესი, პროგრამა და სწავლების ლოკაცია.** საბჭოს რეკომენდაციის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა „საუნივერსიტეტო საქმიანობის კვლევების სტანდარტში“ ასახა სტუდენტური კონტინგენტის სტატისტიკური მონაცემების სისტემური შეგროვებისა და ანალიზის ვალდებულება. კერძოდ, დოკუმენტის შესავალ ნაწილში დაემატა ჩანაწერი „უნივერსიტეტი, კვლევითი საქმიანობის ფარგლებში, აგროვებს და აანალიზებს სტუდენტებთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებს სხვადასხვა ჭრილში, მათ შორის გენდერის, საგანმანათლებლო პროგრამისა და სწავლების ლოკაციის მიხედვით”. აღნიშნული პროცესი მოიცავს მონაცემთა დამუშავებას სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით, მათ შორის გენდერული ნიშნით, საგანმანათლებლო პროგრამების ჭრილში და სწავლების ლოკაციის მიხედვით, რაც უზრუნველყოფს მტკიცებულებებზე დაფუძნებული დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. ამავე დოკუმენტის მიხედვით და ინტერვიუს შედგებით ცხადი

გახდა, რომ კვლევები ხელს შეუწყობს როგორც უნივრსიტეტის შიდა გარემოს გამოწვევების იდენტიფიცირებას, ასევე, გარე დაინტერესებული მხარეების, დამსაქმებლების საჭიროებების დადგენას.

- **რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამების შედეგებისა და სამომავლო გეგმების გაცნობა გარე დაინტერესებული მხარეებისთვის, როგორიცაა მარეგულირებელი ორგანოები, ჯანდაცვის დაწესებულებები, სამეცნიერო საზოგადოებები, კვლევითი ინსტიტუტები, კურსდამთავრებულები, ფარმაცევტული და სხვა ინდუსტრიული კომპანიები**

რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უნივერსიტეტმა განახორციელა კონკრეტული აქტივობები. საგანმანათლებლო პროგრამების შედეგებისა და განვითარების პერსპექტივების გარე დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტში ინსტიტუციონალიზებულია „კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომიტეტი“, რომელიც ფუნქციონირებს აკადემიურ სკოლებთან. კომიტეტის დებულება განსაზღვრავს დარგობრივი წარმომადგენლების მონაწილეობას პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და გაუმჯობესების ყველა ეტაპზე. მის შემადგენლობაში შედიან კურსდამთავრებულები, მარეგულირებელი უწყებების, კვლევითი ინსტიტუტებისა და სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები, ხოლო მედიცინისა და სტომატოლოგიის მიმართულებით – ასევე ჯანდაცვის დაწესებულებების, ფარმაცევტული კომპანიებისა და სტომატოლოგიური კლინიკების წარმომადგენლები.

კომიტეტის ფარგლებში განხილული რეკომენდაციები და განვითარების პრიორიტეტები ფორმალიზდება სხდომის ოქმებში და აისახება საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებში, სწავლის შედეგებსა და შინაარსში, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობასა და უკუკავშირის სისტემურ ინტეგრაციას.

უნივერსიტეტის მიერ პროგრამების სწავლის შედეგებისა და სამომავლო გეგმების გაზიარება ხორციელდება სამუშაო შეხვედრების, დარგობრივი ფორუმებისა და საერთაშორისო პლატფორმების მეშვეობით. წარმოდგენილი მაგალითები ადასტურებს, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კომუნიკაციის მრავალდონიან და ინსტიტუციონალიზებულ მოდელს, რომელიც მოიცავს:

- საგანმანათლებლო პროგრამების საჯარო პრეზენტაციებს და დარგობრივი საზოგადოების ჩართულობას;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას კურიკულუმის ინტეგრაციისა და მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) შესაბამისობის უზრუნველსაყოფად;
- Erasmus+ და სხვა საერთაშორისო ფორმატებში სილაბუსების რევიზიასა და ვალიდაციას;
- სამეცნიერო ნაშრომების, კვლევითი შედეგებისა და პროფესიული დისკუსიების ორგანიზებას ადგილობრივ და საერთაშორისო აკადემიურ წრეებთან;
- საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოების მიერ პროგრამების აღიარებასა და ვალიდაციას;
- ინდუსტრიულ სექტორთან თანამშრომლობას დასაქმების ფორუმებისა და პროფესიული პლატფორმების საშუალებით;
- გლობალურ სარეიტინგო და შეფასებით სისტემებში მონაწილეობას (მათ შორის საერთაშორისო აკრედიტაციის პროცესებს), რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების გარე შეფასებასა და საჯაროობას;
- საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებსა და სამეცნიერო ფორუმებში ჩართულობას, რაც ხელს უწყობს პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას.

ყოველივე ზემოთაღნიშნული დასტურდება დოკუმენტური მასალით და საინფორმაციო მედიაში (სოციალური პლატფორმები, ვებ-გვერდი) არსებული ინფორმაციით

აღნიშნული აქტივობების სისტემური ხასიათი ადასტურებს, რომ უნივერსიტეტში გარე დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაცია არ არის ერთჯერადი ან ფორმალური პროცესი, არამედ წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის განუყოფელ ნაწილს. ინსტიტუცია უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შედეგების გარე ვალიდაციას, განვითარების გეგმების ტრანსპარენტულობას და მათ შესაბამისობას როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო აკადემიური და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე
- ინტერვიუს შედეგები
- საუნივერსიტეტო საქმიანობის კვლევების სტანდარტი
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომიტეტის დებულება
- ვებ-გვერდი
  https://gruni.edu.ge/main/news/1766071295

https://gruni.edu.ge/main/news/1766072885

https://gruni.edu.ge/main/news/1765945732

https://gruni.edu.ge/main/news/1765857607

https://gruni.edu.ge/main/news/1765468028

https://gruni.edu.ge/main/news/1765282791

https://gruni.edu.ge/main/news/1765342311

https://gruni.edu.ge/main/news/1764562566

https://gruni.edu.ge/main/news/1764841826

https://gruni.edu.ge/main/news/1764258508

https://gruni.edu.ge/main/news/1764043562

https://gruni.edu.ge/main/news/1763091350

https://gruni.edu.ge/main/news/1762577105

https://gruni.edu.ge/main/news/1762489185

https://gruni.edu.ge/main/news/1761973514

https://gruni.edu.ge/main/news/1764772512

https://gruni.edu.ge/main/news/1748408607

https://gruni.edu.ge/main/news/1739422474

რეკომენდაციები:

არ არის.

რჩევები:

არ არის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- **რეკომენდებულია მედიცინის პროგრამისა და კურსების სწავლის შედეგების რევიზია იმგვარად, რომ ისინი ასახავდეს სწავლის შედეგების მიზნობრივ ხასიათს და წარმოადგენდეს შეფასებად ერთეულებს**

მედიცინის სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების და წარმოდგენილი დოკუმნეტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მედიცინის სკოლამ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინაციით, განახორციელა მედიცინის პროგრამის სწავლის შედეგების კომპლექსური რევიზია ავტორიზაციის რეკომენდაციის შესაბამისად. ანალიზის შედეგად იდენტიფიცირდა რამდენიმე სილაბუსი, რომელთა სწავლის შედეგები საჭიროებდა დაზუსტებას. შესაბამისი კორექტირებები განხორციელდა ბლუმის ტაქსონომიის პრინციპებზე დაყრდნობით, რის შედეგადაც ფორმულირებები გახდა უფრო მკაფიო, ოპერაციონალიზებული, გაზომვადი და შეფასებადი. განახლებული შედეგები მკვეთრად არის ორიენტირებული სტუდენტის მიერ კონკრეტული კლინიკური და პრაქტიკული კომპეტენციების დემონსტრირებაზე.

კერძოდ:

- სასწავლო კურსში „სამეცნიერო კვლევა III“ ზოგადი და ფართო ფორმულირება („სტუდენტი ახდენს სასწავლო-სამეცნიერო აქტივობის გარემოს ორგანიზებას, სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას, წარმართავს სწავლისა და პრაქტიკის პროცესს“) შეიცვალა შედეგზე ორიენტირებული და შეფასებადი ფორმულირებით:
  „სტუდენტი დამოუკიდებლად ახორციელებს სამეცნიერო კვლევას, კრიტიკულად აანალიზებს მონაცემებს და მიღებულ შედეგებს წარმოადგენს პრეზენტაციის ფორმატში.“ აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს კვლევითი კომპეტენციის შეფასებას კონკრეტული პროდუქტით (კვლევა, ანალიზი, პრეზენტაცია).
- სასწავლო კურსში „საოჯახო მედიცინა“ - განახლდა რთულად გაზომვადი და კომპლექსური სწავლის შედეგი. ბუნდოვანი ფორმულირების ნაცვლად ჩამოყალიბდა კონკრეტული, ქცევაზე ორიენტირებული შედეგი:
  „სტუდენტი ახორციელებს პაციენტზე ორიენტირებულ კომუნიკაციას მულტიკულტურულ გარემოში პაციენტის ეთნიკურ-რელიგიური და ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით. აყალიბებს მოვლისა და მკურნალობის გეგმას ეთიკურ-სამართლებრივი ნორმებისა და პაციენტის უფლებების სრული დაცვით.“
  აღნიშნული რედაქცია ქმნის შესაძლებლობას შეფასება განხორციელდეს ობიექტური კრიტერიუმებით (benchmarks), მათ შორის სიმულირებულ პაციენტთან კომუნიკაციის ხარისხისა და კონკრეტული კლინიკური ქეისის მართვისას სამართლებრივი ნორმების სწორად ინტერპრეტაციის საფუძველზე.
- სასწავლო კურსში „გერიატრია“ - სწავლის შედეგები გადამუშავდა მიზნობრიობისა და გაზომვადობის პრინციპის დაცვით. შედეგი ფოკუსირდა სტუდენტის პრაქტიკულ უნარზე მართოს ხანდაზმული პაციენტის მოვლა და დაიცვას მისი უფლებები მულტიკულტურულ კონტექსტში: „სტუდენტი დამოუკიდებლად მართავს კომუნიკაციას ხანდაზმულ პაციენტთან და მის ოჯახთან, პაციენტის ეთნიკური, რელიგიური და ფსიქო-სოციალური თავისებურებების გათვალისწინებით. აყალიბებს ხანდაზმული პაციენტის მოვლისა და მკურნალობის გეგმას ეთიკური პრინციპებისა (ავტონომია, კეთილგანწყობა) და მოქმედი სამართლებრივი ნორმების დაცვით “.
  განხორციელებული ცვლილებები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისობას საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებთან, ამაღლებს შეფასების ობიექტურობას და აძლიერებს პროგრამის კლინიკურ-პრაქტიკულ ორიენტაციას. შედეგად, პროგრამის სწავლის შედეგები გახდა უფრო მკაფიოდ განსაზღვრული, კომპეტენციებზე ორიენტირებული და შეფასების მექანიზმებთან თანხვედრაში მოყვანილი.

რეკომედაცია შესრულებულია.

- **რეკომენდებულია სტუდენტების ეფექტური ინფორმირება სწავლის შედეგების შესახებ**

რეკომენდაციის შესრულების მიზნით, უნივერსიტეტმა მიზანმიმართულად და სისტემურად განახორციელა კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამებისა და ცალკეული სასწავლო კურსების სწავლის შედეგების სრულყოფილი გაცნობიერებისკენ. რეკომენდაციის შესრულების ფარგლებში გაძლიერდა როგორც საინფორმაციო, ისე საკონსულტაციო და უკუკავშირის მექანიზმები, რათა სწავლის შედეგები არ დარჩეს მხოლოდ დოკუმენტურ ჩანაწერად, არამედ იქცეს სტუდენტისათვის პრაქტიკულად გასაგებ და მიღწევად მიზნად.

დეკანებთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ ისინი გარდა ზოგად რეგულაციებით განსაზღვრულ აქტივობების ფარგლებში (დეკანის საათი), ასევე პირადადაც ხვდებიან სტუდენტებს და პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად აცნობენ სკოლის და პროგრამების შესახებ ინფორმაცია, სწავლის შედეგებს და მათ კარიერულ შესაძლებლობლებს.

ყოველი სემესტრის პირველ კვირას აკადემიური პერსონალი ახორციელებს კურსის სილაბუსის და სწავლის შედეგების დეტალურ პრეზენტაციას. აღნიშნული პრეზენტაცია მოიცავს არა მხოლოდ შედეგების ფორმალურ

წარდგენას, არამედ მათ ახსნას პრაქტიკული მაგალითებით, ასევე მკაფიოდ განისაზღვრება კავშირი სწავლის შედეგებსა და შეფასების მეთოდებს შორის. სტუდენტებს განემარტებათ, თუ რომელი შეფასების ინსტრუმენტი (ტესტი, ქეისის ანალიზი, პრეზენტაცია, პრაქტიკული დავალება და სხვ.) რომელი კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევას ემსახურება.
უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ელექტრონული მართვის სისტემაში, თითოეული სტუდენტის პერსონალურ პროფილში. აღნიშნული უზრუნველყოფს სწავლის შედეგებზე მუდმივ და შეუზღუდავ წვდომას, რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, სწავლების ნებისმიერ ეტაპზე გადაამოწმოს პროგრამის მიზნები, შედეგები და საკუთარი პროგრესი.
ინტერვიუს დროს დაფიქსირდა, რომ სემესტრის დასაწყისში უნივერსიტეტმა ორგანიზებულად ჩაატარა სტუდენტებთან საკონსულტაციო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური სკოლის ხარისხის კოორდინატორების მონაწილეობით. აღნიშნული შეხვედრები ემსახურებოდა სწავლის შედეგების შინაარსობრივი განმარტებას, მათ პრაქტიკულ მნიშვნელობაზე დისკუსიას და სტუდენტების მხრიდან შეკითხვებისა და რეკომენდაციების მიღებას.
გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდება სტუდენტთა ანონიმური გამოკითხვა, რომლის ერთ-ერთი საკვანძო კომპონენტი ეხება სტუდენტების ინფორმირებულობას სწავლის შედეგების შესახებ და მათ შეფასებას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მიიჩნევენ, რომ შეძლეს აღნიშნული შედეგების მიღწევა. აღნიშნული ინსტრუმენტი ქმნის მონაცემებზე დაფუძნებული ანალიზის შესაძლებლობას და უზრუნველყოფს უკუკავშირის ინტეგრირებას პროგრამის შემდგომ განვითარებაში.
აღწერილი მიდგომა უზრუნველყოფს სტუდენტის აქტიურ და გაცნობიერებულ მონაწილეობას სასწავლო პროცესსა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში. სწავლის შედეგების გაცნობიერების ხარისხი არ რჩება დეკლარირებულ დონეზე, არამედ იზომება კონკრეტული ინდიკატორებით – სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებითა და ანალიტიკური ანგარიშებით, რაც ქმნის ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ციკლს.
რეკომენდაცია შესრულებულია.

- **რეკომენდებულია ცხოველებზე კვლევების წარმოება კონკრეტული რეგულაციებისა და "სამი R- ის პრინციპის" (Replacement, Reduction, Refinement) დაცვით კვლევისა და ტესტირების პროცესში (დირექტივა 2010/63/EU ადგენს ზომებს სამეცნიერო ან საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენებული ცხოველების დასაცავად); გრუნი-ს რეგულაციები და ეთიკის კოდექსი უნდა შეესაბამებოდეს ამ პრინციპებს**

რეკომენდაციის თანახმად, უნივერსიტეტმა განახორციელა შიდა ნორმატიული ბაზის საფუძვლიანი რევიზია და უზრუნველყო მისი სრული შესაბამისობა ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2010/63/EU დირექტივასთან, რომელიც არეგულირებს სამეცნიერო მიზნებისთვის გამოყენებული ცხოველების დაცვის, კეთილდღეობისა და ეთიკური გამოყენების სტანდარტებს. აღნიშნული ნაბიჯი ემსახურება უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევითი საქმიანობის ჰარმონიზაციას ევროპულ სამართლებრივ და ეთიკურ ჩარჩოსთან.
რეკომენდაციის შესრულების ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ძირითადი აქტივობები:
• უნივერსიტეტის მარეგულირებელ დოკუმენტში „სამეცნიერო კვლევის ეთიკა“ შეტანილ იქნა იმპერატიული დათქმა, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია ნებისმიერი ექსპერიმენტის ან კვლევითი აქტივობის განხორციელება, თუ იგი არ შეესაბამება 2010/63/EU დირექტივის მოთხოვნებს და ცხოველთა კვლევის ფუნდამენტურ „სამი R-ის პრინციპს“ – Replacement (ცხოველის ჩანაცვლება ალტერნატიული მეთოდით, სადაც ეს შესაძლებელია), Reduction (გამოყენებული ცხოველების რაოდენობის მინიმიზაცია მეცნიერული მიზნის მიღწევის გარეშე კომპრომისის გარეშე) და Refinement (პროცედურების დახვეწა ტკივილის, ტანჯვისა და სტრესის შემცირების მიზნით).
დოკუმენტში მკაფიოდ განისაზღვრა, რომ კვლევის დიზაინის დამტკიცების ეტაპზე სავალდებულოა ალტერნატიული მეთოდების ანალიზი, გამოყენებული მოდელების მეცნიერული დასაბუთება და ეთიკური კომიტეტის მიერ წინასწარი შეფასება. ასევე გაძლიერდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს კვლევითი პროექტების რეგისტრაციას, მონიტორინგსა და ანგარიშგებას ცხოველთა კეთილდღეობის დაცვის კონტექსტში.
უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ დღემდე ცხოველებზე კვლევები არ ჩატარებულა და, შესაბამისად, აღნიშნული რეგულაციის იმპლემენტაცია ჯერ არ განხორციელებულა.
რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე

- ინტერვიუს შედეგები
- სილაბუსები
- სტუდენტთა კითხვარი
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტანდარტი

რეკომენდაციები:

არ არის.

რჩევები:

არ არის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- **რეკომენდებულია ნორმაზე დაფუძნებული შეფასების სისტემის გაუქმება და მხოლოდ კრიტერიუმზე დაფუძნებული შეფასების იმპლემენტაცია, რათა ინდივიდუალური სტუდენტის ქულები მხოლოდ მის მოსწრებაზე იყოს დამოკიდებული**

აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ აღნიშნული რეკომენდაციის წარმოშობა დაკავშირებულია ტერმინოლოგიურ გაუგებრობასთან. შესაბამისად, ანგარიშში აღწერილია უნივერსიტეტში არსებული შეფასების სისტემის პრინციპები. უნივერსიტეტში სტუდენტის შეფასება სრულად ეფუძნება კრიტერიუმზე დაფუძნებულ მოდელს (criterion-referenced assessment). თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი და შესაბამისი სილაბუსი განსაზღვრავს მკაფიო და წინასწარ დადგენილ შეფასების კრიტერიუმებსა და ზღვრულ ნიშნულებს, რომელთა დაძლევა აუცილებელია კრედიტის მოსაპოვებლად. სტუდენტის საბოლოო შეფასება ფორმირდება მხოლოდ მისი ინდივიდუალური აკადემიური მიღწევების საფუძველზე და არ არის დამოკიდებული სხვა სტუდენტების შედეგებზე, რაც სრულად გამორიცხავს ნორმაზე დაფუძნებული (norm-referenced) შეფასების პრაქტიკას.

უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ ექსპერტთა მიერ რეკომენდაციაში მითითებული ფორმულირება – „სწავლის შედეგები მიიჩნევა მიღწეულად, თუ სტუდენტთა რაოდენობის გარკვეული ნაწილი მას დააკმაყოფილებს“– არ წარმოადგენს ინდივიდუალური სტუდენტის შეფასების წესს. აღნიშნული ჩანაწერი ასახავს პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის დონეზე გამოყენებულ სტატისტიკურ ინდიკატორს, რომელიც გამოიყენება კურიკულუმის ეფექტიანობის ანალიზისთვის. მაგალითად, როდესაც პროგრამის ფარგლებში დგინდება, რომ სტუდენტთა 80%-მა გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ეს მონაცემი გამოიყენება პროგრამის შედეგიანობის შესაფასებლად და არა ინდივიდუალური სტუდენტის ქულის განსასაზღვრად. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას და წარმოადგენს პროგრამის მონიტორინგის ანალიტიკურ ინსტრუმენტს.

უნივერსიტეტი სრულად იზიარებს მიდგომას, რომლის მიხედვითაც სწავლის შედეგები წარმოადგენს მინიმალურ მისაღწევ სტანდარტს. მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, სტუდენტი ჩაითვლება კონკრეტული კომპეტენციის მატარებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი გადალახავს სილაბუსით განსაზღვრულ ყველა სავალდებულო ზღვრულ ბარიერს. შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგი

განისაზღვრება როგორც იმ ინდივიდუალური კომპეტენციების ერთობლიობა, რომლებიც თითოეულმა სტუდენტმა დამოუკიდებლად დაადასტურა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექპერტთა ჯგუფი იზიარებს უნივერსიტეტის პოზიციას, რომ რეკომენდაცია „ნორმაზე დაფუძნებული შეფასების გაუქმების შესახებ“, უნდა შეფასდეს როგორც არსობრივ-ტერმინოლოგიური გაუგებრობა, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყო ფორმულირების ინტერპრეტაციის თავისებურებით. უნივერსიტეტში სტუდენტთა კომპეტენციების შეფასება ხორციელდება მხოლოდ კრიტერიუმებზე დაფუძნებული მოდელით, რაც უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობას, გამჭვირვალობასა და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. შესაბამისად, ექპერტემის მიერ **რეკომენდაცია შესრულებულად ჩაითვალა.**
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ანგარიში ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე • ინტერვიუს შედეგები • საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები
რეკომენდაციები: არ არის.
რჩევები: არ არის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: • **რეკომენდებულია საუნივერსიტეტო დონეზე სწავლისა და სწავლების სავალდებულო სასწავლო კურსის შემუშავება და დანერგვა ყველა ახალი პედაგოგიური პერსონალისთვის**

უნივერსიტეტმა განახორციელა ცვლილებები „ადამიანური რესურსის, პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში (ადმინისტრაციული, აკადემიური და დამხმარე პერსონალის შერჩევის წესში - მუხლი 8. **ადაპტაციის პროგრამა.** ახალი თანამშრომლის ადაპტაციისათვის, უნივერსიტეტის გამოცდილი პერსონალის რიგებიდან გამოიყოფა პირი ე.წ. მრჩეველის სტატუსით, რომლის მიზანია ახალ თანამშრომელს ხელი შეუწყოს კოლეგიალური კომუნიკაციის დამყარებაში, მის ინტეგრაციას საუნივერსიტეტო სივრცეში, უნივერსიტეტისა და მისი გუნდისადმი კეთილგანწყობის სწრაფად ჩამოყალიბებაში, ინტეგრაციაში და ა. შ. სასწავლო პროცესში ჩართული ახალი პედაგოგიური პერსონალისთვის (აკადემიური და მოწვეული), ადაპტაციის პროგრამის ფარგლებში, **სავალდებულოა სპეციალიზებული სასწავლო კურსის - „სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის“ გავლა.** აღნიშნული კურსი მიზნად ისახავს ,,პერსონალის მომზადებას თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდებისა და შეფასების სისტემების მიმართულებით“. ცვლილება უზრუნველყოფს, პერსონალის წინასწარი მომზადების საფუძველზე, ყველა ლექტორი მომზადდეს აუდიტორიაში შესვლამდე უნივერსიტეტის სტანდარტების, ეთიკისა და თანამედროვე პედაგოგიური მეთოდების შესახებ სათანადო ცოდნით. ამასთან, **აღნიშნული სასწავლო კურსის ათვისება შრომითი ხელშეკრულების გაგრძელების ერთ-ერთი სავალდებულო წინაპირობა გახდა.** ადაპტაციის 3 თვიანი პროგრამის დასრულებამდე, 5 დღით ადრე, ახლად დასაქმებული ავსებს ანგარიშს, რითაც ვლინდება მისი დამოკიდებულება უნივერსიტეტის მიმართ, მუშაობის მოტივაცია და ხედვა. პედაგოგიური პერსონალის შემთხვევაში, ანგარიში დამატებით უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსის ფარგლებში მიღებული კომპეტენციების შესახებ. ამასთან, პირველივე დღიდან, გამოსაცდელი ვადით მიღებულ პირს გადაეცემა შემოვლითი ბარათი, სადაც უნდა ჩაინიშნოს ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღანელთან შეხვედრა და ამ ერთეულის საქმიანობის გაცნობის ფაქტი, ასევე, მას გადაეცემა ძირითადი მარეგულირებელი წესების, ეთიკის კოდექსის ბეჭდვითი ვერსიები. ყველა დოკუმენტი იმავდროულად ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე ელექტრონულადაც.
ადამიანური რესურსების მართვის ხელმძღვანელთან ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ 2025 ში 19 პირმა გაიარა ადაპტაციის პროგრამა და ყველა დასაქმდა, ხოლო 2026 წლიდან 3 პირი არის ჩართული ამ პროცესში. აფილირებულ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს აღინიშნა ადაპტაციის პროგრამის მნიშვნელობის და შედეგების შესახებ. ინტერვიუერებს შორის იყვნენ პირები, რომელთაცც აღნიშნული წესის მიხედვით გაიარეს „სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის“ სასწავლო კურსი და დასაქმდნენ უნივერსიტეტში.
რეკომენდაცია შესრულდა.

- **რეკომენდებულია გადაიხედოს აფილირებული პერსონალის სახელფასო პოლიტიკა**

ინსტიტუციამ, აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით „ადამიანური რესურსის, პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში დაამატა 22[1] მუხლი, რომელიც განსაზღვრავს შრომის ანაზღაურების პრინციპებს, სტრუქტურასა და დიფერენცირების მექანიზმებს აკადემიური თანამდებობების მიხედვით. აღნიშნული პოლიტიკა ეყრდნობა სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და მოტივაციაზე ორიენტირებული ანაზღაურების პრინციპებს და ინტეგრირებულია უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემებში. აღნიშნული ცვლილების მიხედვით, შემუშავდა სახელფასო მატრიცა, რომელიც ეფუძნება საბაზისო სახელფასო განაკვეთს და იცვლება მატრიცის მონაცემების შესაბამისად. სახელფასო მატრიცა აგებულია აკადემიური პოზიციების, საბაზისო ხელფასის, 3-6-9 წლიანი სტაჟის, სასწავლო-ორგანიზაციული აქტივობის, სწავლების ხარისხის დანამატის (სტუდენტთა გამოკითხვით 4,6-5 ქულა), სამეცნიერო აქტივობის დანამატით (WoS/Scopus, EBSCO/Erich, მონოგრაფია, საგრანტო პროექტი). აფილირებული აკადემიური პერსონალის სახელფასო განაკვეთის კონკრეტული ოდენობები განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგით და ითვალისწინებს აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის პერიოდულ შეფასებას.სახელფასო მატრიცა გამოიყენება, როგორც საბაზისო ჩარჩო და არ გამორიცხავს, ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე, სახელფასო ანაზღაურების ცვლილებას. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ სახელფასო მატრიცის განსაზღვრა დაექვემდებარება განხორციელებული აქტივობების შეფასებას, რომელიც წარმოდგენილია თვითშეფასების წლიურ ანგარიშში და ისე ამოქმედდება გაზაფხულის სემესტრიდან.

რეკომენდაცია შესრულდა.

- **რეკომენდებულია ადაპტაციის პერიოდის ჩანაცვლება საცდელი (ან მსგავსი) პერიოდით და მკაფიო და გამჭვირვალე კრიტერიუმების განსაზღვრა საბოლოო დასაქმებისთვის**

ანგარიშიდან და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ უნივერსიტეტი არ ამართლებს ადაპტაციის პერიოდის ჩანაცვლებას გამოსაცდელი ვადით, ადაპტაციის პერიოდით უნივერსიტეტი ეხმარება ახალ თანამშრომელს შიდა მარეგულირებელი აქტების, პერსონალის, კორპორაციული ტრადიციებისა და კულტურის გაცნობაში, საუნივერსიტეტო საზოგადოება პოზიტიურად არის განწყობილი აღნიშნული პრაქტიკის მიმართ და ეფექტიანად იყენებს მას. ადაპტაციის პროცესი უადვილებს ახალ პერსონალს უნივერსიტეტის სისტემაში შესვლას, კოლეგებთან ურთიერთობას. ინსტიტუციას მიაჩნია, რომ აღნიშნული მექანიზმი, საბოლოო ჯამში, სწავლა სწავლების ხარისხის ამაღლებას უზრუნველყოფს და არ უნდა ჩანაცვლდეს **გამოსაცდელი ვადის მექანიზმით, რადგან ეს უკანასკნელი სამართლებრივია და გამოიყენება უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირობებში.**

იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გამოსაცდელი ვადის მექანიზმი, რომელიც უნივერსიტეტის მხრიდან ხელშეწყობილია და გაძლიერებულია ადაპტაციის პროგრამით, ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ **რეკომენდაცია შესრულდა.**

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ადაპტაციის პროგრამის შესახებ: ადამიანური რესურსის, პერსონალის მართვის პოლიტიკა (დანართი 4.1. მუხლი 8. ადაპტაციის პროგრამა. 26-ე გვერდი)
- სახელფასო პოლიტიკის შესახებ: ადამიანური რესურსის, პერსონალის მართვის პოლიტიკა (დანართი 4.1. მუხლი 22[1]. მე-16 გვერდი)
- სახელფასო მატრიცა (დანართი 4.2)
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

არ არის.

რჩევები:

არ არის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: • **რეკომენდებულია მონიტორინგის სისტემის დანერგვა, რომელიც გამოავლენს ინდივიდუალურ და სისტემურ საკითხებს, აცნობებს მათ შესახებ სტუდენტთა ომბუდსმენის ოფისს და გამოიყენებს რეგულარულ აუდიტს სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანოებთან.** რეკომენდაციის შესრულების მიზნით, მოწოდებული ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტმა განახორციელა სტუდენტური ომბუდსმენის ოფისის ფუნქციონირების მოდელის რევიზია, რომლის ფარგლებშიც ომბუდსმენის დებულებაში შევიდა ცვლილებები. სტუდენტური ომბუდსმენის შესახებ დებულებაში, დამატებულია „სტუდენტური უფლებების აუდიტის“ მუხლი 151, რომლის თანახმადაც განისაზღვრა სტუდენტური უფლებების რეგულარული აუდიტის განხორციელების საკითხი, სტუდენტებთან თანამშრომლობით (სტუდენტური თვითმმართველობა, სტუდენტური კლუბები). აღნიშნული ცხადია ზრდის სტუდენტური წარმომადგენლობითი ორგანოების რეალურ ჩართულობასა და სტუდენტების ნდობას ომბუდსმენის ინსტიტუტისადმი. აგრეთვე, დებულების თანახმად უნივერსიტეტში დამკვიდრდა ომბუდსმენის წლიური ანგარიშის წარმოების პრაქტიკა, რომელიც ეგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. ამასთანავე, მე-15 მუხლის თანახმად, ომბუდსმენის წლიურ ანგარიშში შესაძლებელია მოხვდეს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების გაუმჯობესების რეკომენდაციები და სტუდენტთა მოსაზრებები, რაც მოემსახურება უნივერსიტეტის განვითარებას, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა და სტუდენტთა

უფლებების დაცვას. აღნიშნულმა შესაძლოა განაპირობოს ომბუდსმენის რეკომენდაციების ინტეგრაცია უნივერსიტეტის სტრატეგიულ და ოპერაციულ გეგმებში.

ვიზიტის ფარგლებში სტუდენტებისგან დადასტურდა ეთიკის კოდექსისა და ომბუდსმენის ოფისის შესახებ ინფორმაციის არსებობა, ასევე, რეგულარული შეხვედრების შესაძლებლობა ომბუდსმენის ოფისთან.

რეკომენდაცია შესრულებულია.

- **რეკომენდებულია საერთაშორისო სტუდენტების მონაწილეობის გაძლიერება სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებში, კერძოდ სტუდენტურ თვითმმართველობაში.**

აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების კუთხით, გადადგმულია ბევრი სასიკეთო ნაბიჯი. ანგარიშთან ერთად უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილია დებულება სტუდენტური ომბუდსმენის შესახებ, სტუდენტური თვითმმართველობის პოლიტიკა, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების წესი (სტუდენტური თვითმმართველობის დებულების დანართი N1), სტუდენტების გზამკვლევი „შენი უფლებები და წარმომადგენლობა“. აღსანიშნავია, რომ თითოეული ეს დოკუმენტი მოწოდებულია ორივე ენაზე. ინტერვიუს დროს საერთაშორისო სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი მათთვის მიწოდებულია ინგლისურად (ისევე, როგორც ქართულად).

ინტერვიუს ფარგლებში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის ცენტრის წარმომადგენელმა ისაუბრა უშუალოდ რექტორის მითითებაზე, რომ უნივერსიტეტის საიტზე არსებული ნებისმიერი ინფორმაცია განთავსებული უნდა იყოს როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე, რაც გადამოწმდა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და დადასტურდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ.

საერთაშორისო სტუდენტის ინტერესების უზრუნველსაყოფად, სტუდენტური თვითმმართველობის დებულებაში განსაზღვრულია საერთაშორისო სტუდენტის არჩევის ვალდებულება (მუხლი 9). მე-12 მუხლის თანახმად კი სტრუქტურაში დამატებულია „საერთაშორისო სტუდენტებთან ურთიერთობისა და ინტეგრაციის დეპარტამენტი.“ შეხვედრის ფარგლებში, სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმაც და საერთაშორისო სტუდენტებმაც დაადასტურეს თვითმმართველობაში საერთაშორისო სტუდენტების მონაწილეობის საკითხი.

უნივერსიტეტს, ასევე, შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა. დოკუმენტის თანახმად, სხვა საჭირო პროცესებთან ერთად გამოყოფილია ინტერნაციონალიზაციის ძირითადი მიმართულებები (მუხლი 3), უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მექანიზმები (მუხლი 7) და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების შეფასება - შეფასების კრიტერიუმები (მუხლი 8).

საერთაშორისო სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერი სახის ინფორმაცია მიეწოდებათ მეილზე, ასევე მარტივად საკომუნიკაციოდ, არსებობს სტუდენტური თვითმმართველობის ონლაინ ჯგუფები. ღონისძიებებიდან გამოყვეს სპორტული შეჯიბრებები და ფილმის ჩვენების სესიები.

რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე
- ინტერვიუები
- დებულება სტუდენტური ომბუდსმენის შესახებ
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
- სტუდენტური თვითმმართველობის დებულება
- სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევნების ჩატარების წესი
- სტუდენტის გზამკვლევი „შენი უფლებები და წარმომადგენლობა“
- კითხვარი (სწავლა-სწავლების პროცესის შეფასებისა და სტუდენტთა კმაყოფილების შესახებ)

რეკომენდაციები:

არ არის.

რჩევები:

არ არის.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა. ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია
○ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში. ○ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1 მატერიალური რესურსი

- უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.
- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- **რეკომენდებულია ბათუმში მდებარე შენობაში ყველა საკლასო ოთახის აღჭურვა თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიებით.**

ექსპერტთა ჯგუფმა 2026 წლის 18 თებერვალს უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში განახორციელა ბათუმში მდებარე შენობის სრული მონიტორინგი. დაფიქსირდა, რომ თითოეული აუდიტორია აღჭურვილია ლეპტოპით/კომპიუტერითა და პროცესორით.
უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თანახმად, შეძენილი და დამონტაჟებულია: 4 დიდი ფორმატის სმარტ-ტელევიზორი, 2 მაღალი წარმადობის ნოუთბუქი, 1 კომპიუტერი, 1 კომპიუტერული სპიკერი, 2 პრინტერი, 1 საპროექციო ეკრანი.
აგრეთვე, წარმოდგენილია 09/2024-02/2026 პერიოდის სასაქონლო ზედნადებები შეძენილი პროდუქციის შესახებ: საპროექციო ეკრანი, კაბელი, პრინტერი, მაუსი, სარჩილავი, ნოუთბუქი, ტელევიზორი, კრონშტეინი, კომპიუტერის სპიკერი.
რეკომენდაცია შესრულებულია.

- **რეკომენდებულია ყველა სასწავლო და სოციალური სივრცის სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ინდივიდისთვის, მიუხედავად მათი ფიზიკური შესაძლებლობებისა.**

უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დაადასტურა ყველა სასწავლო და სოციალური სივრცის სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ინდივიდისთვის, მიუხედავად მათი ფიზიკური შესაძლებლობებისა.
რეკომენდაცია შესრულებულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ანგარიში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე
- ვიზიტი უნივერსიტეტში
- ტექნიკის შესყიდვის დოკუმენტები

რეკომენდაციები:

არ არის.
რჩევები: არ არის.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები
ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).
რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
7.3 საინფორმაციო რესურსი
○ უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. ○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.

- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები:

რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

რჩევები:

არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4 ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის მიზნით უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო დაწესებულების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზშთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემური საკითხები უსდ-ის სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

მიუთითეთ კომპონენტის შესაბამისი მტკიცებულებები/ინდიკატორები (დოკუმენტები, ინტერვიუს შედეგები და სხვა).

რეკომენდაციები: რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები: არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი №1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 0413	120	აკრედიტებული	30.12.2024 47412
2	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი 0413	60	აკრედიტებული	30.12.2024 47414
3	ბიზნესის ადმინისტრირება	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი 0413	60	აკრედიტებული	30.12.2024 47416
4	ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი)	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში 0414	180	აკრედიტებული	30.12.2024 47407
5	ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)	ქართული	ბიზნესის ადმინსიტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში 0413	180	აკრედიტებული	30.12.2024 47399
6	ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები)	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში 0412	180	აკრედიტებული	30.12.2024 47410
7	დიპლომირებული მედიკოსი (ინგლისურენოვანი)	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი 0912	360	აკრედიტებული	01.08.2019 172
8	დიპლომირებული სტომატოლოგი	ქართული	დიპლომირებული სტომატოლოგი 0911	300	აკრედიტებული	27.08.2020 820916

9	დიპლომირებული სტომატოლოგი	ინგლისური	დიპლომირებული სტომატოლოგი 0911	300	აკრედიტებული	09.12.2025 1755888
10	კლინიკური ფსიქოლოგია და კონსულტირება	ქართული	კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი 0313	120	აკრედიტებული	05.11.2019 192
11	მასობრივი კომუნიკაცია	ქართული	მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი 0321	120	აკრედიტებული	19.08.2016 109
12	მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტი	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 0413	120	აკრედიტებული	07.10.2025 1386262
13	მდგრადი ბიზნესის მენეჯმენტი	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი 0413	60	აკრედიტებული	07.10.2025 1386271
14	მდგრადი ბიზნესის ტრანსფორმაცია	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 0413	60	აკრედიტებული	07.10.2025 1386264
15	პოლიტიკური ფილოსოფია	ქართული	ფილოსოფიის დოქტორი 0223	60	აკრედიტებული	19.04.2021 372007
16	ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია	ქართული	ჟურნალისტიკის ბაკალავრი 0321	240	აკრედიტებული	18.01.2022 102296
17	საექთნო საქმე	ინგლისური	საექთნო საქმის ბაკალავრი 0913	240	აკრედიტებული	23.07.2024 1010356
18	სამართალი	ქართული	სამართლის ბაკალავრი 0421	240	აკრედიტებული	12.03.2021 291500
19	სამართალი	ქართული	სამართლის მაგისტრი 0421	120	აკრედიტებული	12.03.2021 291445
20	სამართალი	ქართული	სამართლის დოქტორი 0421	60	აკრედიტებული	10.04.2020 61
21	საჯარო მმართველობა	ქართული	საჯარო მმართველობის დოქტორი 0413	60	აკრედიტებული	14.02.2025 501409
22	საჯარო მმართველობა და პოლიტიკა	ქართული	საჯარო მმართველობის ბაკალავრი 0413	240	აკრედიტებული	28.06.2022 794252
23	საჯარო მმართველობა და პოლიტიკა	ქართული	საჯარო მმართველობის ბაკალავრი 0413	180	აკრედიტებული	14.02.2025 501355
24	ტურიზმი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში 1015	240	აკრედიტებული	13.06.2024 762486
25	ფსიქოლოგია	ქართული	ფსიქოლოგიის ბაკალავრი 0313	240	აკრედიტებული	14.01.2022 90477
26	ციფრული მმართველობა	ქართული	საჯარო მმართველობის მაგისტრი 0413	120	აკრედიტებული	14.02.2025 414865
27	ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 0413	192	აკრედიტებული	14.08.2025 1109419
28	ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 0413	192	აკრედიტებული	14.08.2025 1109426